

პანდემია – ტექსტის თემა
Pandemic as a Core theme of the Text

Liana (Lia) Basheleishvili

Russia, Moscow

Moscow State University

**Christian Perspectives on Alexander Pushkin's
„Feast in Time of Plague“**

Summary

Pandemics have been regarded as a manifestation of God's wrath since ancient times, including late Middle Ages. "Feast in Time of Plague" – this masterpiece of A. Pushkin has already become a metaphor, a trope, and perhaps more of an oxymoron, created by the seemingly incompatible unity of two mutually exclusive concepts-contexts: "Feast" and "Plague". This masterpiece of the cycle of "Minor Tragedies" has in fact rallied against a number of Christian virtues. The protagonist Walsingham and his companions try to dispel the memory of death and eliminate the fear of death from the heart and mind. According to John Sinaites, "remembrance and fear of death" is one of the main Christian virtues that Christians must strive to perpetuate. Pursuing these virtues helps the sinful to exercise self-control and innocence. To avoid the fall. Pushkin describes the amazing attempts to disregard death in the realm of death itself, when the "Fourth Knight" of Apocalypse has already disappeared and the seal has been unraveled.

Key words: A. Pushkin, "Minor Tragedies", "Fourth Knight".

ლიანა(ლია) ბაშელიშვილი

რუსეთი, მოსკოვი

მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

ალექსანრდე პუშკინის „Пир во время чумы“-ს ქრისტიანული რაკურსები

ჟამიანობა, შავი ჭირი, ქოლერა, როგორც სიკვდილის თანმხლები ტოპოსები თითქოსდა ტრანსფორმაციას უნდა განიცდიდეს ახალი დროის ლიტერატურაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებას, მედიცინის წინსვლას უნდა დაეძლია ათასწლეულების განმავლობაში დაღექილი მისტიკური შიში, რომელიც როგორც პანდემიის „თანმდევი სული“ გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობას ავლენდა ამგვარ პირობებში. „ლხინი ჟამიანობის დროს“ – ა. პუშკინის ეს შედევერი უკვე თავადაა ქვეყლი მეტაფორად, ტროპად და ალბათ უფრო ოქსუმორონია, რომელიც ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნება-კონტექსტის – „ლხინისა“ და „ჭირიანობის“ თითქოსდა შეუთავსებელი ერთიანობით შეიქმნა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ლხინი და ნადიმი არ გახლავთ მხოლოდ ტრაპეზის აღმნიშვნელი ცნებები და საშუალო საუკუნეების ლიტერატურაში მას უკვე ღრმად სიმბოლური დატვირთვა გააჩნია, რომლის ფესვებიც არა მხოლოდ პლატონის „ნადიმსა“ და ბიბლიურ „საიდუმლო სერობაშია“ სამიბეელი, არამედ მთლიანად კულტურაში, როგორც ასეთში. ლხინი, ნადიმი ხომ რიტუალიზირებული გართობა და სიამოვნებაა, რომელიც ხელს უწყობს კავშირის და ერთიანობის შეგრძნების ჩამოქნას თანამეინახეთა შორის, საზოგადოების შეკვრას, აგრესიის მინავლებასადაა. შ.ნადიმის სიცოცხლის ზეობაა სიკვდილზე, რომლის თანმდევი მოვლენებია სიხარული, სიამოვნება, თრობა, სიტყვიერი, კოდად ქვეყლი ფორმულების თანხლებით. მაგრამ... როგორ თავსდება ლხინი და ნადიმი სიკვდილთან? არის თუ არა ეს ორი მცნება შეუთავსებადი და ურთიერთგამომრიცხავი?! ნებისმიერი ომი ნადიმით მთავრდებოდა, ასე რომ სიკვდილის ტოპოსი ლიტერატურაში ხშირად უკავშირდებოდა ლხინს. ამიტომაცაა, რომ

პუშკინის ამ ტექსტში ლხინს, ნადიმს ონტოლოგიური მეტაფორის ფუნქცია გააჩნია.

ა. პუშკინმა მცირე მოცულობის ეს პოემა ბოლდინოს შემოდგომის პერიოდში დაწერა, ანუ 1830 წელს, იმ დროს, როცა რუსეთში და კერძოდ მოსკოვში ქოლერა მძვინვარებდა. პუშკინი სამედიცინო სიზუსტით არ მიჯნავს ერთმანეთისაგან შავი ჭირისა და ქოლერის სახელწოდებებს. ვიდრე ალექსანდრე პუშკინის ამ პოემის ქრისტიანულ რაკურსებზე ვისაუბრებთ, მინდა შევეხო პანდემიის კონტექსტს პუშკინის თანამედროვეთა დღიურებსა და მემუარებში, იმდროინდელ პრესასა და სამედიცინო ბიულეტენებში. ერთი რამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი ეპიდემია იყო დიდი ტრავმა და საზოგადოება ცდილობდა მას გამკლავებოდა სხვადასხვა მეთოდით – ხშირად ცინიზმით, ტრავმის ნაწილობრივი თუ სრული დავიწყებით, შეგუებით, შიშით, ბრმა რწმენით, ხალასი რწმენით, ღვთის განგებულების გამოხით და ა. შ. რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, სწორედ ასეთ სიტუაციებში იბადებოდა ახალი აგიოგრაფიული სიუჟეტები რუსულ მწიგნობრობასა და ლიტერატურაში, რომლებშიც გადამწყვეტ როლს ორი ცნება „თევოს და პარადოქსოს“ ანუ ქართველთათვის კარგად ნაცნობი სიტყვათმეხამება „უცხო და საკვირველი“ თამაშობდა. ეს უცხო და საკვირველი პარადოქსოგრაფიის ტოპოსს უკავშირდება რუსულ ლიტერატურაში.

შავი ჭირის და ქოლერის თემა რუსულ სინამდვილეში ქართული ღვთისმშობლის ხატთან და მის კულტთან ასოცირდება და ამ ხატის ისტორია ჩვენთვის, ქართველთათვის განსაკუთრებით საცნაურია. შაჰ აბასის მიერ გატაცებულმა სიწმინდემ საბოლოოდ რუსულ სავანეებში დაიდო ბინა. რუსეთში გავრცელებული ქართველი ღვთისმშობლის ხატის კულტი სწორედ რომ ჟამიანობას უკავშირდება, რადგან ამ ხატს მიაწერენ მოსკოველთა გადარჩენას შავი ჭირისაგან, საგალობელში პირდაპირაა ხაზგასმული, რომ ქართული ღვთისმშობელი იცავს მათ „ჟამიანობის, წყლულისა და მომწამლავი ქარებისაგან“ („от мора, язвы и тлетворных ветров“). მას უკავშირდება არა მხოლოდ სასწაულების აგიოგრაფიული სიუჟეტი, არამედ 1772 წლის დიდი სახალხო ჯანყიც, რომელიც ისტორიაში „чумной бунт“-ის სახელითაა ცნობილი. ამ ჯანყს

ემსხვერპლა არქიეპისკოპოსი ამბროსი, რომელიც გავეშებულმა ბრბომ სარზე წამოაგო დონის მონასტრის კარებთან, რადგან ქართველი ღვთისმშობლისადმი შეწირული ფულის ქურდობაში და ხატის გადამალვაში დასდეს ბრალი. მოსკოვში 1870 წელსაც, ისევე როგორც ადრე, ასი წლის წინათ, „ჩუმნოი ბუნტის“ დროს, კარანტინი იყო გამოცხადებული. ქოლერამ შეცვალა ქალაქელთა ცხოვრების წესი და იგი საზოგადოების ყველა ფენას შეეხო. შეიცვალა სამყარო, დაიკეტა ყველა სახლის კარი, შეწყდა მისვლა-მოსვლა, გამოჩნდნენ ნიჰილისტებიც, რომლებთაც ექვი შეპქონდათ ქოლერის არსებობაშიც კი და თვლიდნენ, რომ მოსკოვში 30 კაცი ყოველდღე უქოლეროდაც კვდებოდა. ეპიდემიამ თავდაყირა დააყენა ყველა ფასეულობა და გააცამტვერა მატერიალური სიკეთის გაზვიადებული ხიბლი, შეცვალა ცხოვრების ჩვეული წესი – კვების სისტემიდან დაწყებული ტანსაცმელით დამთავრებული. ა.ბულგაკოვის და ნ.ვიაზემსკის მემუარებსა და ეწერილებში ბევრ საინტერესო ჩანაწერს შევხვდებით დეზინფორმაციების გავრცელებასა და მითების თხზვასთან დაკავშირებით. მითები რომ ეპიდემიების თანხმლები მოვლენა გახლდათ ამაზე ნათლად მეტყველებს იმდროინდელი პრესა და მწვავე დიკუსიები, რომლებშიც საზოგადოების ყველა ფენა იყო ჩათრეული. რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი საფრთხე მოსკოვში მცხოვრებ უცხოელ ექიმებს ემუქრებოდათ, რადგან ნებისმიერი ეპიდემიის დროს გავეშებული ბრბო სწორედ მათში ეძებდა განტევების ვაცს: „Ежели доктора-немцы не перестанут морить русский народ, то мы их головами вымостим Москву!“ Булгаков затрудняется определить, были ли это происки неблагонамеренных людей или вредный розыгрыш. ბოლდინოში გამოკეტილი პუშკინი სხვა გზას ეძებს ქოლერისგან მიყენებული ტრავმის დასაძლევად. იგი განუწყვეტილად წერს, მაგრამ ხშირად მიმართავს სიუჟეტური გაუცხოების ხერხს. იგი ცდილობს შავი ჭირის, როგორც ღვთის რისხვის გააზრებას, ოღონდ რომანტიზმის დოქტრინის თვალსაწიერიდან, რომელიც ჩანასახშივე ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მსოფლადთქმას.

„მცირე ტრაგედიების“ ციკლის ამ შედეგმა ფაქტობრივად გაილაშქრა მთელი რიგი ქრისტიანული სათნოებების წინააღმდეგ. მთავარი გმირი ვალსინგამი და მისი თანამეინახენი ჟამიანობის

დროს ცდილობენ განაგდონ სიკვდილის ხსოვნა და აღმოფხვრან გულიდან და გონებიდან სიკვდილის შიში. იოანე სინელის თანახმად კი, „სიკვდილის ხსოვნა და შიში“ ერთ-ერთი მთავარი ქრისტიანული სათნოებაა, რომლის დაუნჯებისათვის ქრისტიანი უნდა იღვწოდეს მუდამჟამს. ამ სათნოების დაუნჯება ეხმარება ცოდვითდაცემულ ადამიანს თავშეკავებასა და უვნებელობის მიღწევაში. გემოთმოყვარეობის დათრგუნვაში. პუმკინი კი აღწერს სიკვდილის უგულველყოფის საოცარ მცდელობებს თავად სიკვდილის საუფლოში, როცა აპოკალიფსის „მეოთხე მხედარი“ უკვე დაჰქრის და ბეჭედიც ახსნილია. ეს ის დროა, როცა დაკარგულია ყოველგვარი რწმენა და იმედი მხოლოდ უსარგებლო სიცრუედ გვეჩვენება, აზრი ქარწყლდება და ქრება, ღვთაებრივი ცეცხლი ტოვებს მას, საზოგადოება იხრწნება და ცივ სასოწარკვეთაში მყოფი შეიგრძნობს თავის წინ უფსკრულს და მზადაა მასში ჩავარდეს. სიცოცხლე იხრჩობა უმიზნოდ. მომავალში აღარაფერია... ყველაფერი მიდის სხეულში, ყველაფერი ვარდება სხეულებრივ გახრწნილებაში... თვითგადარჩენის გრძნობაც კი ქრება», – წერს ფ.დოსტოევსკი პუმკინის სხვა, არა ამ ნაწარმოების შესახებ, მაგრამ წერს ზუსტად იმას, რაც ამ პოემასაც ესადაგება (დოსტოევსკი 1973 : 79) პოემის პირველივე პასაჟი უკვე სიმბოლურია. ლხინი ქუჩაშია, ქუჩაში კი დაუმარხავი მიცვალებულები ყრია. ქუჩაში არ სუფევს ღმერთი, რადგან ღვთაებრივი იკონომია გულისხმობს სახლს, სადგომში, თავშესაფარში ყოფნას. ამიტომაც ემუდარება მღვდელი მენადიმეებს, რომ სახლებს დაუბრუნდნენ. ვალსინგამი უარზეა, მას არ სურს სახლში დავრუნება, რადგან სახლში სევდა და უიმედობაა გამეფებული, ახალგაზრდობას კი, მისი თქმით, სიხარული უყვარს. რა უნდა სიკვდილის საუფლოში სიხარულს?! ნუთუ სიკვდილის დავიწყება შესაძლებელია სიკვდილის ასეთი ზეობის ჟამს? ეს გამოწვევა და ჯანყია, რომლის აპოთეოზს ვალსინგამის მიერ წარმოთქმული შავი ჭირის ჰიმნი აგვირგვინებს. შავი ჭირის ჰიმნი რომანტიკული სულითაა გაჟღერებული და ადამიანის თავისთავადობის, მისი უკვდავების საგალობელია. ეს უკვდავება მხოლოდ ადამიანის თავისმყოფობას ეფუძნება და გამორიცხავს ღმერთში სასოებას და მის შემწეობას, რადგან ღმერთი იმას აკეთებს, რაც მას თავად სურს და აკეთებს ისე, როგორც მას სურს.

ეს კი მიუღებელია ვალსინგამისა და მისი თანამეინახეებისათვის. ვალსინგამი ადამიანის სიამაყეს და მისი სულის სიმამაცეს, სულის თავისუფლებას უძღვნის ამ ჰიმნს, თავისუფლების რომანტიკული აბსოლუტიზაცია ხომ ხიბლში ჩავარდნაა ქრისტიანული თვალსაწიერიდან. ასე გაგებული თავისუფლება უნაყოფოა, მას არაფერი მოაქვს, ნუგეშინისცემის მადლსაც კი არ ფლობს.

„Есть упоения в бою
И бездны мрачной на краю,
И в разъяренном океане
Средь грозны волн и бурной тьмы,
И в аравийском урагане
И в дуновение чумы.
Итак, хвала тебе чума
Нам не страшна могила тьма
Нас не смутить твое призванье
Бокалы пеним дружно мы
И девы розы пьем дыхание
Быть может... полное чумы“.

პოეტს კიდევ ერთი პერსონაჟი შემოჰყავს ტრაგედიაში. ეს მღვდელია, რომელიც ცდილობს ვალსინგამში ღვთის შიში გაადვივოს. იგი ამხილებს მოქეიფეებს უღვთო ნადიმსა და უღვთო სიგიჟეს, სასულიერო პირი შეძრწუნებულია მათი ღრეობით, მიცვალებულთა შეურაცხყოფით, რომელთაც წესის აუგებლად ერთ დიდ ორმოში ყრიან. იგი ჯვარცმული მაცხოვრის სახელით ემუდარება ვალსინგამს დაუბრუნდეს სახლს და გაემიჯნოს ეშმაკს. ეს სიტყვა მაინც გაისმის პოემაში, ამ პერიოდის პუშკინის შემოქმედებაში. პოეტი ცდილობს დასძლიოს იგი. საშინელება, რომელიც ხდება, სასოწარკვეთასა და უიმედობას იწვევს რეალურ ყოფაში. რეალურ ენაზე იგი ასე ჟღერს – რატომ უშვებს ღმერთი ამას? ვალსინგამი გაოგნებულია ახლობლების დაკარგვის გამო გამოწვეული ტკივილით, იგი ვერ უმკლავდება უსასოობასა და უიმედობას და ამიტომაც გმობს უკვე ხსნის იდეასაც კი და კრულავს ყველას, ვინც გაჰყვება მღვდელს. ფინალი, როგორც პუშკინს სჩვევია რამდენიმე კონტექსტს შეიცავს:

Отец мой, ради бога
Оставь меня.
Спаси тебя Господь
Прости меня сын мой.

ადამიანს უჭირს ღვთის გარეშე, როცა იგი სიკვდილის საცეცებს გრძნობს, მაგრამ თავისუფლების რომანტიკული გაგება გამორიცხავს ღვთის განგებულების მიღებას. ეს დიდებულად გვიჩვენა ა. პუშკინმა იმით, რომ პოემის გმირებს უარი ათქმევინა თეოდიცეაზე. თუ რატომ, ამაზე პუშკინის ეს პოემა პასუხს არ იძლევა.

დამოწმებანი:

დოსტოევსკი 1973: Достоевский Ф. М. *Полное собрание сочинений*. Т. 5. Л.: 1973.

იოანე სინელი 1980: იოანე სინელი. *კლემასი. რომელი არს კიბე*. თბილისი: საეკლესიო კალენდარი, 1980.

Tamar Barbakadze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Reception of Pandemic Fear (G. Tabidze’s “Fear” and B. Kharanauli’s “The Blackbird Cannot Find its Feelings”) Frygt. Angst. Vers libre. Fear.

Summary

The Danish philosopher and theologian Soren Kierkegaard distinguishes between two types of fear: Frygt (fear of something specific) and Angst (senseless fear, anxiety, excitement), i.e. fear is empirical and etaphysical.